მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე 06 ნოემბერი 2018 წელი

შეთანხმების მონაწილეები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი, მისამართი; ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113. ს/კ 424066977), რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და ქ. ახალქალაქის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში სკოლა, მისამართი: ქ. ახალქალაქი, ენგელსის ქ.№47, ს/კ 223364525) დირექტორის ემმა ნახატაკიანის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსს - „ინკლუზიური განათლება“ და ასევე სასკოლო პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან/შესაბამის აქტივობებს შეასრულებენ სკოლაში, რისთვისაც განხორციელდება ერთობლივი საქმიანობა შემდეგი მიმართულებით:
ა) მითითებული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შესაბამისი პრაქტიკის საათებს ჩაატარებენ სკოლაში;
ბ) სასწავლო პროცესში დაცული იქნება პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

2. სკოლა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით.

3. მემორანდუმის ფაგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნეს წერილობით.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თნაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

7. წინამდებარე მორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმის სურვილის გამოთქმამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ 424066977
მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
ქ.№47

რექტორი:

მაკა ბერიძე

_____

ქ. ახალქლაქის №5 საჯარო სკოლა

ს/კ 223364525
მის: ქ. ახალქალაქი, ენგელსის

დირექტორი:

ემმა ნახატაკიანი

_____